ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2009 წელს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად (იხ.: http://www.tsu.edu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/qa-statute.pdf), ENQA-ს (European Network of Quality Assuarance – ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის) მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში" (იხ.: http://www.tsu.edu.ge/data/file_db/qa_docs/QA_geo.pdf) მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2009 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

I. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, დებულებების, კონცეპტუალური დოკუმენტების მომზადება;
II. საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების, მასწავლებლის პროფესიული განვითარების) შიდა საუნივერსიტეტო შეფასება;
III. სტუდენტთა გამოკითხვა;
IV. სილაბუსების მომზადება ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
V. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში;
VI. ტრენინგების, საკონსულტაციო შეხვედრა-პრეზენტაციების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება;
VII. სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
VIII. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება;
IX. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების, თსუ-დან გარიცხული და აღდგენილი სტუდენტების, თსუ კურსდამთავრებულების, მონაწილეობა დიპლომის დანართის შემუშავების პროცესში;
X. პასუხი შემოსულ კორესპონდენციებზე და სხვ.

I. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, დებულებების, კონცეპტუალური დოკუმენტების მომზადება

2009 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, საჯარო განხილვების შედეგად, თსუ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან შეთანხმებით მომზადდა აკადემიური საბჭოს შემდეგი 37 დადგენილება:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ (02. 02. 09, დადგენილება № 171), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d171_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ (02. 02. 09, დადგენილება № 172), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d172_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ (02. 02. 09, დადგენილება № 174), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d174_09.asp
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენის პროცედურის დამტკიცების შესახებ (02. 02. 09, დადგენილება № 175), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d175_09.asp
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ (16. 02. 09, დადგენილება № 181), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d181_09.asp (2008-2009 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შიდა შეფასების საფუძველზე ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაუწია და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა მასწავლებლის განვითარების 8 საგანმანათლებლო პროგრამა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 2, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 6).
- 2008-2009 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სადოქტორო პროგრამების დამტკიცების შესახებ (27. 02. 09, დადგენილება № 183), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d183_09.asp (2008-2009 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შიდა შეფასების საფუძველზე ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაუწია და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 59 სადოქტორო პროგრამა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 20, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 16, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 9, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – 5, იურიდიული ფაკულტეტი – 1, მედიცინის ფაკულტეტი – 8).
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო ქართლის ყოფილი ფილიალის კურსდამთავრებულთა და/ან სტუდენტთა კრედიტების დაანგარიშების წესის შესახებ (27. 02. 09, დადგენილება № 184), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d184_09.asp

- 2009-2010 სასწავლო წლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ვადების დამტკიცების შესახებ (13. 04. 09, დადგენილება № 204), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d204_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებში თუნინგის მეთოდოლოგიის დანერგვის შესახებ (დადგენილება № 207; 13. 04. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/d207_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009-2010 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალის, მისაღები კონტიგენტის რაოდენობისა და მისაღები გამოცდების კოეფიციენტების დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 226; 01. 06. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/266_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომის დანართის შემუშავების ინსტრუქციისა და დიპლომის დანართის შემუშავების პროცედურის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 227; 01. 06. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/227_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საშუალო ნიშნის დაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 228; 01. 06. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/228_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების წესის შესახებ (დადგენილება № 234; 06. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/234_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსვლის მსურველ და/ან გადმოსულ, აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი (დადგენილება № 235; 06. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/235_09.asp
- უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარების წესი (დადგენილება № 236; 06. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/236_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოური ენების სწავლების დარეგულირების შესახებ 2009-2010 სასწავლო წელს ჩარიცხული ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის (დადგენილება № 237; 06. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/237_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოენოვანი სასწავლო კურსების ამოქმედების შესახებ (დადგენილება № 238; 06. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/238_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაციის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 239; 06. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/239_09.asp

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ (დადგენილება № 240; 06. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/240_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული უმაღლესი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხების (კვალიფიკაციების) დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 248; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/248_09.asp
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 249; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/249_09.asp
- სადოქტორო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 250; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/250_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 251; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/251_09.asp
- საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 252; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/252_09.asp
- სამაგისტრო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 253; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/253_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის და თვითშეფასების კითხვარის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 254; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/254_09.asp
- სილაბუსის ახალი ფორმის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 255; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/255_09.asp
- საქართველოსა და უცხოეთის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხების აღიარების წესი (დადგენილება № 256; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/256_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009-2010 სასწავლო წლის საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 259; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/259_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სადოქტორო პროგრამების დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 263; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/263_09.asp

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის "სურსათის მარკეტინგის" სასერტიფიკაციო კურსის დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 261; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/261_09.asp
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობის და მისაღები გამოცდების კოეფიციენტების დამტკიცების შესახებ (დადგენილება № 262; 16. 07. 09), იხ.: http://www.tsu.ge/news/acadc/262_09.asp
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სამაგისტრო პროგრამების დამტკიცების შესახებ (21. 09. 09, დადგენილება № 272), იხ.: http://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/272 (2009-2010 წლის შემოდგომის სემესტრისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შიდა შეფასების საფუძველზე ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაუწია და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 93 სამაგისტრო პროგრამა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 22, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 41, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 21, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – 3, იურიდიული ფაკულტეტი – 2, მედიცინის ფაკულტეტი – 4.
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების დამტკიცების შესახებ (21. 09. 09, დადგენილება № 273), იხ.: http://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/273
- 2009-2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სადოქტორო და 2010-2011 სასწავლო წლის საბაკალავრო და სამაგისტრიო პროგრამების წარმოდგენის ვადების დამტკიცების შესახებ (13. 11. 09, დადგენილება № 305), იხ.: http://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/7ef6g5wlyh5whnnaf
- ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ (18. 12. 09, დადგენილება № 327)
- თსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 ივლისის № 249 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (18. 12. 09, დადგენილება № 328)
- თსუ ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, რომელიც დამტკიცდა თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (იხ.: http://www.tsu.edu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/qa-statute.pdf)
- თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია (პროექტი) (იხ.: http://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/QA%20STRATEGIA.pdf)
- მონაწილეობა კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შემუშავების პროცესში (იხ.: http://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/kvalifikaciebis%20erovnuli%20charcho.pdf)
- მონაწილეობა დარგობრივი სტანდარტების შემუშავების პროცესში (იხ.: http://www.tsu.ge/ge/government/rvd_wh785vzhmfoe/news/2961/?p=1, http://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/medical%20education%20_rp_17_11_09_1.pdf)

- ტემპუსის ეროვნულ ოფისთან თანამშრომლობით და მისი ეგიდით შემუშავდა: მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) დანერგვა საქართველოს უნივერსიტეტებში (საქართველოს ეროვნული სტრატეგიის ნაწილი და გზამკვლევი) (ავტორი: ი. დარჩია)
- რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ, საქართველოში სადოქტორო განათლების განვითარებასთან დაკავშირებით (ავტორი: ი. დარჩია) (იხ.: http://www.tempus.ge/ge/news6.html)

II. სასწავლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების) შიდა საუნივერსიტეტო შეფასება

- ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებმა და წევრებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, მოახდინეს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასება. თითოეული სასწავლო პროგრამის შეფასების შევსებული და კომენტირებული ფორმები ინახება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
- 2008-2009 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ფაკულტეტებისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების მიერ შეფასდა, ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაეწია და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 59 სადოქტორო პროგრამა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 20, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 16, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 9, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – 5, იურიდიული ფაკულტეტი – 1, მედიცინის ფაკულტეტი – 8).
- 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ფაკულტეტებისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების მიერ შეფასდა, ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაეწია და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა მასწავლებლის პროფესიული განვითარების 8 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან 7-ს მიენიჭა აკრედიტაცია 2 წლით სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ.
- 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ფაკულტეტებისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების მიერ შეფასდა, ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაეწია და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 93 სამაგისტრო პროგრამა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 22, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 41, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 21, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – 3, იურიდიული ფაკულტეტი – 2, მედიცინის ფაკულტეტი – 4).

- 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასდა, ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაეწია უწყვეტი განათლების 10 საგანმანათლებლო პროგრამას.
- 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მოეწყო საზოგადოებრივი გეოგრაფიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერების საბაკლავრო პროგრამების საჯარო განხილვა.

III. სტუდენტთა გამოკითხვა

2008-2009 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების მონაწილეობით ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა პროფესორების მიერ ჩატარებულ ლექცია-სემინარებთან დაკავშირებით (გამოკითხვა ეხებოდა ექვსივე ფაკულტეტების ასოცირებულ, სრულ და ასისტენტ პროფესორების მიერ ჩატარებულ სალექციო კურსებს). ხოლო 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში კითხვარების ანალიზის შედეგები წარედგინა თსუ აკადემიურ საბჭოს განსახილველად. პროფესორებს გამოკითხვის შედეგები პირველად დაეგზავნა ინდივიდუალურად.
გარდა ამისა, აირექსის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ იქნა სტუდენტთა ელექტრონულად გამოკითხვის პროექტი და ამიერიდან შესაძლებელი იქნება ბაკალავრიატის (ხოლო მომავალში სამივე საფეხურის) სტუდენტების ელექტრონულად გამოკითხვა.

IV. სილაბუსების მომზადება ვებ-გვერდზე განსათავსებლად

2009 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა თსუ ვებ-გვერდზე და სტუდენტთა სასწავლო ბაზაში განსათავსებლად მოამზადა უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები.

V. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში

სახელი, გვარი	თარიღი	ქვეყანა	ორგანიზაცია	დაფინანსების წყარო	მივლინების შედეგი
ნინო ჯავახიშვილი	2009 წლის 2 თებერვალი – 1 აპრილი	აშშ	რატგერსის უნიევრსიტეტი	IREX, ვაშინგტონი, აშშ	ანგარიში აირექსის ოფისისათვის; ანგარიში (პრეზენტაცია) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებისა და სოციალურ და პოლიტიკურ

					მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიმართ
ია ნაცვლიშვილი	2009 წლის 5-12 აპრილი	უნგრეთი	ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი	Open Society Institute (Soros Foundation), USA	მომზადდა სასწავლო კურსების “მაკროეკონომიკა” და “მიკროეკონომიკა”; შეძენილ იქნა აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები და სასწავლო-მეთოდური მასალები ფაკულტეტის ბიბლიოთეკისათვის
ჩიხლაძე ნინო	2009 წლის 10-12 მაისი	ნორვეგია	ბერგენის უნივერსიტეტი	ბერგენის უნივერსიტეტი	ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ბერგენის უნივერსიტეტსა და თსუ მედიცინის ფაკულტეტს შორის
ირინე დარჩია	2009 წლის 3-5 ივნისი	ლოზანა, შვეიცარია	ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ყოველწლიური შეხვედრა	ტემპუსის ეროვნული ოფისი	შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ, საქართველოში სადოქტორო განათლების განვითარებასთან დაკავშირებით: http://www.tempus.ge/ge/news6.html
ირაკლი კობახიძე	2009 წლის 22-25 ივნისი	ბუდაპეშტი, უნგრეთი	Central European University (CEU), Curriculum Resource Center (CRC)	CEU/CRC	სასწავლო პროგრამებისა და კურსების განვითარება
ანასტასია ზაქარიაძე	2009 წლის 10-11 ივნისი	ქობულეთი, საქართველო	საერთაშორისო კონფერენცია “განათლების პოლიტიკა და	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;	რექტორის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში აისახა მივლინების შედეგები (წერილი № 12353, 29. 06. 09). ასევე

			შეფასება”	აჭარის მთავრობა; ღია საზოგადოება საქართველოს ფონდი და შ. პ. ს. „შტეფან ოსტინი და შვილები“, თსუ	ჩატარდა ხარისხის სამსახურის საინფორმაციო შეხვედრა ფაკულტეტის ადმინისტრაციაში.
ეკა ლეკაშვილი	2009 წლის 5-18 ივლისი	საქართველო	ISET – Regional Seminar for Excellence in Teaching	HESP	ეკონომიკის სწავლების უახლესი მეთოდების დაუფლება
ნაცვლიშვილია	2009 წლის 5-31 ივლისი	თურქეთი	Bilgi University, Instanbul, Turkey	Faculty Development Fellowship Program by Open Society Institute (Soros Foundation), USA	სასწავლო-საწვრთნელი კურსების წარმატებით გავლის სერტიფიკატი შემდეგ დისციპლინებში: დებატების ხელოვნება, აკადემიური წერა, კურუკულუმის შემუშავება-განვითარება
ანასტასია ზაქარიაძე	2009 წლის სექტემბერი-ნოემბერი	აშშ	მენის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერის პროგრამა (IREX). ნიუ-იორკის კარნეგის ასოციაცია.	რექტორის სახელზე გაკეთებულ იქნა დეტალური ანგარიში (წერილი № 28243/02).
ირინე დარჩია	2009 წლის ოქტომბერი-ნოემბერი	საბერძნეთი, იტალია	თესალონიკის უნივერსიტეტი, ბოლონიის უნივერსიტეტი	Erasmus Mundus	ერთობლივი, ფრანგულენოვანი სადოქტორო პროგრამა “ევროპული ლიტერატურა” ევროპის რვა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და დოქტორის ერთობლივი ხარისხის მინიჭებით,

					კოორდინატორი: ბოლონიის უნივერსიტეტი (იტალია)
	2009 წლის 9-11 დეკემბერი	ზაგრები, ხორვატია	ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ყოველწლიური შეხვედრა	ტემპუსის ეროვნული ოფისი	შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ, საქართველოში სადოქტორო განათლების განვითარებასთან დაკავშირებით
	2009 წლის 18-21 დეკემბერი	ათენი, საბერძნეთი	ბერძნული ენის პოპულარიზაციის ორგანიზაცია	საბერძნეთის განათლების, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის და რელიგიის სამინისტრო	შემოთავაზება: ქართული სახელმძღვანელო „ძველი და ახალი ბერძნული ენის შედარებითი გრამატიკა“ თარგმნოს ბერძნულად და გამოცეს საბერძნეთში ბერძნული მხარის დაფინანსებით (სახელმძღვანელოს ავტორები: რ. გორდეზიანი, ი. დარჩია, ს. შამანიდი)

VI. ტრენინგების, საკონსულტაციო შეხვედრა-პრეზენტაციების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება

თარიღი	**ტრენინგის (საკონსულტაციო შეხვედრა-პრეზენტაციის) თემა**	**ტრენერი**	**სამიზნე ჯგუფი**	**დაფინანსების წყარო**
24 აპრილი	აშშ ვიზიტის ანგარიში	ნ. ჯავახიშვილი	თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	–––
29 აპრილი	სტუდენტების გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია	ნ. ჯავახიშვილი	თსუ იურიდიული ფაკულტეტი	–––
6 მაისი	სემინარი უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ	ი. დარჩია	თსუ და ფაკულტეტების	–––

			სასწავლო პროცესის მართვის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები	
6 მაისი	სემინარი თუნინგის პრინციპების შესახებ	ნ. ჯავახიშვილი	თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	–––
1 ივლისი	საკონსულტაციო შეხვედრა-პრეზენტაცია სილაბუსის სრულყოფის შესახებ	ნ. ჯავახიშვილი	თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	–––
8 ივლისი	ტემპუსის ეროვნული სემინარი სადოქტორო განათლებაზე	ი. დარჩია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები, თსუ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სხვა დაინტერესებული პირები	–––
სექტემბერი	SPSS პროგრამა	ნ. კობახიძე, ლ. ძაგანია	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები	––––––

VII. სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

2009 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარსადგენად მოამზადა შემდეგი დოკუმენტაცია:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრში წარადგინა მასწავლებლის პროფესიული განვითარების 8 საგანმანათლებლო პროგრამა: ისტორია (პროფესიული ცოდნა და ისტორიის სწავლების მეთოდიკა), ქართული ენა და ქართული ენის სწავლების მეთოდიკა არაქართულენოვან სკოლებში, ქართული ლიტერატურა (პროფესიული ცოდნა და ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა), ინგლისური ენა (პროფესიული ცოდნა და ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა), ფრანგული ენა (პროფესიული ცოდნა და ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკა), რუსული ენა (პროფესიული ცოდნა და რუსული ენის სწავლების მეთოდიკა), ბიოლოგია (პროფესიული ცოდნა და ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა), გეოგრაფია (პროფესიული ცოდნა და გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა, რომელთაგან 7 პროგრამას (ქართული ენა და ქართული ენის სწავლების მეთოდიკა არაქართულენოვან სკოლებში, ქართული ლიტერატურა (პროფესიული ცოდნა და ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა), ინგლისური ენა (პროფესიული ცოდნა და ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა), ფრანგული ენა (პროფესიული ცოდნა და ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკა), რუსული ენა (პროფესიული ცოდნა და რუსული ენის სწავლების მეთოდიკა), ბიოლოგია (პროფესიული ცოდნა და ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა) აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაცია 2009 წლის 27 მაისს სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 7 გადაწყვეტილებით. სულ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა 81 გვერდს (წერილი № 166/01-01-03-05, 20.02.09).
- 2008 წლის 15 ივნისს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარადგინა თსუ-ში მოქმედი სამაგისტრო პროგრამის ანოტაციები მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან თავსებადობის დადგენის მიზნით. სულ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა 57 გვერდს (წერილი № 562/01-01-03-05, 15.07.09).
- 2009 წლის 2 ნოემბერს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ. დოკუმენტაცია მოიცავდა ზოგად ინფორმაციას თსუ-ს შესახებ, ინფორმაციას მატერიალური რესურსების შესახებ (ფართი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერები), საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსების (აკადემიური/მასწავლებლების პერსონალი, სტუდენტები). სულ წარდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა 474 გვერდს (წერილი № 1095/01-02-05-08, 02.11.2008).

VIII. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება

2009 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსების კრედიტები უღიარა 55 სტუდენტს, რომლებიც სწავლობდნენ აშშ და ევროპის შემდეგ უნივერსიტეტებში: მიდელბერგის უნივერსიტეტი (ჰოლანდია), პარიზი 1, სორბონა (საფრანგეთი), მერზებურგის უმაღლესი სკოლა, ჰამბურგის, როსტოკის, იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის, ზაარლანდის, დუისბურგ-ესენის, აუსბურგის, შტუტგარტის მედიის უნივერსიტეტები (გერმანია), დასავლეთ ლონდონის ბიზნეს-კოლეჯი (ინგლისი), ორეგონის უნივერსიტეტი (აშშ), ოსლოს უნივერსიტეტი (ნორვეგია), ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია), ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი), რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი, მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი, ვოლგოგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რუსეთი), ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა).

IX. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება

2009 წელს ფაკულტეტებისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და წევრები მონაწილეობდნენ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარების პროცესში.

X. პასუხი კორესპონდენციებზე

2009 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად შევიდა 378, ხოლო გავიდა 463 კორესპონდენცია, რომლებიც, ძირითადად, ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებს, სასწავლო პროგრამებს, სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებას, სტუდენტთა მობილობასა და კრედიტების აღიარებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, უცხოელი პროფესორების ვიზიტებს და სხვ.